ვ. ა. ზორინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გეგმა არ შეიცავს ასევე მკაფიო და ზუსტ ახალ ეოგიურ დებულებებს. ეს გეგმა არ განსაზღვრავს შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ლიკვიდაციის წესსა და მეთოდებს. ამასთანავე ამერიკის შეერთებული შტატების დოკუმენტის ზოგიერთი ფორმულა შეიცავს ბევრ შენიშვნას და ამიტომ იწვევს სერიოზულ ეჭვს, რომ ნამდვილად მოისპობა სახელმწიფოთა სამხედრო მანქანა.

რაც შეეხება ყველაზე საშიში სახეობის იარაღს — მასობრივი მოსპობის ატომურ იარაღს, ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებანი არსებითად მიზნად ისახავენ მათ შენარჩუნებას მესამე ეტაპის შემდეგაც კი, მათს სამფდამად შენარჩუნებას. ამერიკის დოკუმენტში გამოთქმული განცხადებანი ატომური იარაღის ლიკვიდაციის შესახებ ლიტონ სიტყვებად რჩება, რამდენადაც ყველაფერი დამოკიდებული უნდა იყოს ექსპერტთა მიერ კონტროლის საკითხის ეგრეთწოდებულ შესწავლაზე.

ვ. ა. ზორინის შემდეგ გამოვიდა ინგლისის წარმომადგენელი, რომელმაც კვლავ ჯიუტად დაიცვა თავისი წინადადება — შეიქმნას სპეციალისტთა ჯგუფი ტექნიკური საკითხების შესასწავლად.

ინგლისის დელეგატის მიერ წამოყენებული არგუმენტები კომიტეტის როგორც დღეკანდელ, ისევე წინა პლენარულ სხდომებზე მწვავედ გააკრიტიკა ინდოეთის წარმომადგენელმა.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა თავისი განცხადება მიუძღვნა, როგორც თვითონ თქვა, ამერიკის ხელშეკრულების ძირითად დებულებათა სქემის იმ ნაწილების ახსნა-განმარტებას, რომლებიც შეეხება „მშვიდობის დაცვის“ ღონისძიებებს განიარაღების მეორე ეტაპზე.

რუმინეთის წარმომადგენელმა გააანალიზა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დოკუმენტების დებულებები, რომლებიც განიარაღების მესამე ეტაპს შეეხება, და ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა გეგმის აშკარა უპირატესობა. ეს გეგმა, განაცხადა მან, ითვალისწინებს იმას, რომ განიარაღების მესამე ეტაპის განხორციელების შედეგად შეიქმნას მსოფლიო, სადაც არ იქნება იარაღი, და, მაშასადამე, არ იქნება ომები, მაშინ როცა ამერიკის წინადადებანი სრულიადაც არ უზრუნველყოფენ ასეთ მდგომარეობას.

ამით დღეკანდელი სხდომა დამთავრდა. 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის შემდეგი პლენარული სხდომა დანიშნულია 8 ივნისს.

460 გაფიცვა ერთ თვეში

ვაშინგტონი, 7 ივნისი. (საკვლესი). შრომის სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ აპრილში შეეთიბულ შტატებში იყო 460 გაფიცვა, რომლებშიც 155 ათასი კაცი მონაწილეობდა.

ამა წლის პირველი ოთხი თვის მანძილზე მეწყვეულობაში გაფიცვების შედეგად დაკარგულია 50 პროცენტით მეტი კაცსაათი, ვიდრე შარშან შესაბამის პერიოდში.

მილიტარისტების შეთქმულება

ნიუ-იორკი, 8 ივნისი. (საკვლესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა შტრაუსმა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება, მოლაპარაკება გამართა გუშინ თავდაცვის მინისტრ მაკნამარასთან. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, მინისტრები „განიხილავდნენ დასავლეთ ევროპის თავდაცვის სტრატეგიას, მათ შორის ატომური და ჩვეულებრივი ტაქტიკის საკითხებს“.

როგორც საგენტო აღნიშნავს, განიხილავდნენ აგრეთვე იმ წინადადებას, რომ გერმანიამ გამოიყენოს მომარაგების ზოგიერთი საწყობი და საწყვრნელი ბაზა, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა ააშენეს დასავლეთ გერმანიაში.

გადასახადელი ამ ბაზებისათვის იქნება ნაწილი საერთო თანხისა, რაც დასავლეთმა გერმანიამ დახარჯა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო საკერვლის შესაძენად. ამასთან, წერს ამასთან დაკავშირებით საგენტო, წარმოიბა მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ შეერთებულ შტატებში იყიდონ 600 მილიონ დოლარის სამხედრო საქონელი.

მოლაპარაკების დღის წესრიგშია აგრეთვე საკითხი შეერთებული შტატებისა და გერმანიის შესაძლო მონაწილეობის შესახებ იარაღის კვლევისა და სრულყოფის პროგრამაში, რასაც ნატო ახორციელებს.

კრაზანის ბუდეში...

პარიზი, 8 ივნისი. (საკვლესი). ოასელთა მეთაურების თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ, კერძოდ, ბიდო, სუსტელი, პოლკოვნიკი არგუ, კაპიტანი სერვანი და სხვები, შეიქმნა ეგრეთწოდებული „აღმასრულებელი კომიტეტი“. გადაწყდა რადიო უნდა დაუჭდეთ, „განაგრძონ ბრძოლა სანამ არ გაიმარჯვებენ“.

ამ თათბირის ამბავი, რომელიც მაისის შუა რიცხვებში გაიმართა ბონში (ალჟირი), როგორც გაზეთი „მონდი“ იუწყება, ცნობილი გახდა ბიდოს მიერ პრესისათვის გადაცემული განცხადებიდან.

ფაშისტმა შეთაურებმა ოასიის ძალების „მთავარსარდალად“ მეტროპოლიაში დანიშნეს პოლკოვნიკი არგუ, ხოლო მის მოადგილედ კაპიტანი სერვანი.

ტელეგრაფი გვაცყობინებს



△ **ბუდაპეშტში** გაიხსნა სოციალისტური ქვეყნების სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ინსტიტუტების წარმომადგენელთა მე-4 კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობენ ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, მონღოლეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციები.

△ **საბჭოთა ტურისტების** ჯგუფი, რომლებიც ავტოგარბენას აწყობენ ევროპის ქვეყნებში, უნგრეთს ჩავიდა. ჯგუფში შედიან კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეები, მრეწველობისა და ტრანსპორტის ნოვატორები.

△ **კაიროში** მიმდინარეობს არაბთა ქვეყნების ლიგის ეკონომიური საბჭოს სესია, სადაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს შეიქმნას არაბთა ეკონომიური ერთობის საბჭო. შეთანხმებას ხელს აწერენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, მაროკოს, კუვეიტის, იორდანიისა და სირიის წარმომადგენლები.

△ **ინგლისის** სამხედრო-საჰაერო ძალების მინისტრი ემერი გაფრინდა ხანგრძლივ საინსპექციო მოგზაურობაში შორეული აღმოსავლეთისა და ავსტრალიის ქვეყნებში. გამგზავრების ძირითადი მიზანია შეისწავლოს მარშრუტები, რომლებიც ინგლისს აკავშირებენ თავის ბაზებთან ამ რაიონებში. კუალა-ლუმპურსა (მალაია) და კანბერაში (ავსტრალია). ემერის მოლაპარაკება ექნება ამ ქვეყნების მინისტრებთან და შტაბების უფროსებთან.

△ **ქალაქ ფუაოუკაში** პოლიციამ დაიკავა იტაძუკის სამხედრო ბაზის ამერიკელთა უანდარმერიის ორი ჯარისკაცი, რომლებმაც ტაქსის ორი შოფერი გაძარცვეს.

△ **ქალაქ სენ-დიზიეში** სასწავლო ფრენის დროს ერთმანეთს დაეჯახა საფრანგეთის ორი სამხედრო თვითმფრინავი, ერთი მათგანი დაიმსხვრა. პილოტი დაიღუპა.

ბუჭარესტი. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო.

საკვლესის ფოტოქრონიკა.

კალია დამარცხებულია

ჰერატი, 8 ივნისი. საკვლესის კორესპონდენტი ვ. გაგარინი იტყობინება:

ავღანეთში ირანის ცხელი უდაბნოებიდან შემოფრინდა გლეხთა მინდვრების ყველაზე სამში მტერი — კალია. ავღანეთის სამხრეთ და ჩრდილოეთ რაიონების ავღანელ გლეხთა მინდვრები საფრთხეშია. განსაკუთრებით ბევრი კალია შემოფრინდა ჰერატის პროვინციაში. კალიამ გამოჩეკა პარკუჭანები — დაახლოებით 95 ჩანასახი თითოეულმა. როცა ახალგაზრდა კალია გამოიჩეკა, იგი დაიძრა ნათესებისაკენ, ყველაფერს სპობდა თავის გზაზე. გეგონებოდათ, თვით მიწა მოძრაობსო: იმდენად ბევრი კალია იყო! ავტომანქანები ბუქსაობდნენ გზაზე, როცა კალიების ზოლს წაეწყდებოდნენ. გლეხები უკვე მოგზაზდნენ ყველაზე უარესისათვის. ისინი გამოდიოდნენ მინდვრებში, ფეხით თელავდნენ კალიას, ერეკებოდნენ ორმოებში, მიწას აყრიდნენ და ბენზინით წვავდნენ, მაგრამ კალიის რაოდენობა არ მცირდებოდა.

ავღანეთის მთავრობის თხოვნით ავღანელ გლეხთა დასახმარებლად მოვიდა ავღანეთის მეზობელი და მეგობარი — საბჭოთა კავშირი. ავღანეთში გაიგზავნა კალიის საწინააღმდეგო ექსპედიცია გამოცდილი სპეციალისტის დ. კ. ჯერეხის მეთაურობით, რომელიც უკვე ორჯერ იყო ავღანეთში.

მეტად მძიმე იყო სამუშაო ამჯერად, თქვა მან კორესპონდენტთან საუბარში. ჰერატის პროვინციაში დაიწყო ქარი. „სამასი დღის ქარი“ ანუ, როგორც მას ჩვენში უწოდებენ, „ავღანური“. იგი ხელს უშლიდა ნათესებისათვის ქიმიკატების შესხურებას, აიძულებდა ჩვენს მფრინავებს ეფრინათ მეტად დაბალ სიმაღლეზე. მაგრამ ჩვენმა მფრინავებმა შეასრულეს ეს ამოცანა: კალია დამარცხებულია: დ. კ. ჯერეხმა აღნიშნა, რომ კალიის ასეთი შემოსევა—არ ყოფილა ოცდაათი წლის განმავლობაში.

მოსახლეობა მადლობას უძღვნის საბჭოთა ექსპედიციას. სასტუმროში, სადაც საბჭოთა ექსპედიცია ცხოვრობს, მოდიან გლეხები, რომ სულითა და გულით გადაიხადონ მადლობა.

ჰერატის პროვინციის გუბერნატორმა ავღანეთში სსრ კავშირის ელჩთან ს. ფ. ანტონოვთან საუბარში, რომელიც ამჟამად ჰერატში იმყოფება, მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის მთავრობას სტიქიური უბედურების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავღანელმა ხალხმა დიდი მადლობით მიიღო ეს დახმარება.

ამჟამად საფრთხემ უკვე გაიარა. კალიის საწინააღმდეგო ექსპედიციამ დაამთავრა მუშაობა და ამ დღეებში საბჭოთა კავშირში გაფრინდება.

ფაკრეტინა კილიჩა ყიდის თვალს

სტამბოლი, 7 ივნისი. (საკვლესი). ტუბერკულოზით დაავადებულმა თურქმა ახალგაზრდამ ფაკრეტინა კილიჩამ, რომელსაც მკურნალობისათვის სახსრები არ გააჩნდა, გადაწყვიტა გაეყიდა თავისი თვალი. „მე, დედაჩემი და ჩემი ძმა, წერს იგი გაზეთ „თერჯუმანში“, — ტუბერკულოზით ვართ ავად. მამაც ამ სენმა მოიკლა. მე არ გამაჩნია სახლკარი, არც რსეთი ადგილი მაქვს, სადაც შეგიძლია წამოგწვე. ვყიდი თვალს, რათა გავკურნალო. მე უნდა გადავარჩინო დედა, ძმა და საკუთარი თავი“.

მთავარია ძალთა გაერთიანება

ნიუ-იორკი, 8 ივნისი. (საკვლეს). შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელმა გუს ჰოლმა წერილი გაუგზავნა „სოციალისტური პარტიის სოციალ-დემოკრატიულ ფედერაციის“ ეროვნულ ყრილობას, რომელიც 8 ივნისს იხსნება ვაშინგტონში.

ჰოლმა მოუწოდა ამ გაერთიანებული პარტიის ხელმძღვანელობას მთავარი ყურადღება მოაქციოს არა არსებულ უთანხმოებებს, არამედ „ერთობლივ ბრძოლას ხალხის ინტერესებისათვის, მისი მთავარი მტრის — მსხვილი კაპიტალის წინააღმდეგ“.

ამერიკის კომპარტიის ლიდერმა ამბობს ანტიკომუნისტიზმს როგორც იმპერიალისტური რეაქციის იარაღს.

ანტიკომუნისტიზმისათვის, აღნიშნავს ჰოლი, ჩვენს ხალხს თავს აბეზღებენ სულ უფრო მზარდ სამხეცურო ბიუჯეტებს, რომლებიც ნთქავს ჩვენს სკოლებს, ამდიდრებს ერთ მუჭა მონოპოლისტებსა და უბადრუკ ნაცეცებს ტოვებს ჩვენი ქვეყნის სოციალურ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის.

ანტიკომუნისტიზმი სტიმულატორია, რომელიც განუწყვეტლივ აძლიერებს გამაღებულ შეიარაღებას. ანტიკომუნიზმი იარაღია, რომლითაც ომის ძალები ფუშავენ ყოველგვარ პირველ ხანებში მრავალსაფეხურიან მოლაპარაკებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის უთანხმებათა შესახებ. ანტიკომუნიზმი წარმოშობს ახალ მაკარტებს, ახალ „გენერალებს, უოკერებს; ეგი უალრესად მემარჯვენე შეთქმულებათა და ანტიკომუნისტურ ჯეკარსნულ ლაშქრობათა წყარო.

წერილში შემდეგ აღნიშნულია, რომ არ შეიძლება ორი სხვადასხვა მსოფლიო სისტემის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის მშვიდობიანი თანაარსებობის რიგი ალტერნატივა, რომ განიარაღება და ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტა საჭიროა როგორც აღმოსავლეთისათვის, ისე დასავლეთისათვის.

დასასრულ პრეზიდენტმა მოუწოდა „სოციალისტებს, კომუნისტებსა და სხვა მეშვიდობეებს ძალებს გაერთიანდნენ პროფკავშირთა რიგებში, სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობის რიგებში, ახალგაზრდობისა და მშვიდობის მომხრეთა რიგებში, სადაც უნდა იყვნენ ისინი“.

უგუნური გამოცდები

საირუს იტონის განცხადება

ნიუ-იორკი, 7 ივნისი. საკვლეს). საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი გაიმართება საერთაშორისო საქმეებისათვის კრიზისულ მომენტში, განაცხადა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა საირუს იტონმა საკვლესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში. იტონმა ხაზი გაუსვა იმას, რომ, მისი აზრით, კონგრესი გავლენას მოახდენს საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრზე ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხში, რომლებიც ამ კონგრესზე განხილულ იქნება.

იტონმა განაცხადა, რომ არ შეიძლება დიდმნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყვეს ყოველ ასეთ კონგრესს მთელი დედამიწის მოაზროვნე ადამიანთა მონაწილეობით, რომლებიც თავიანთ აზრს გამოთქვამენ მშვიდობისა და განიარაღების პრობლემათა შესახებ.

მან აღნიშნა, რომ ამერიკელთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა მოითხოვს განიარაღებისა და მშვიდობას, მაგრამ მათ თავს ატეხენ გაძლიერებულ პროპაგანდას, რათა ხელი შეუშალონ ამ მიზნების მიღწევას. პრობლემათა გულდასმით განხილვა მოსკოვში ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ აზრს გაიგოს ჭეშმარიტება.

იტონმა იმ კითხვის პასუხად, თუ რას ფიქრობს დიდ სამაღლეზე ამერიკის თერმოატომური იარაღის გამოცდის შესახებ, განაცხადა: მე მეცნიერი არა ვარ და ვერ გამოვთქვამ აზრს გამოცდების შესაძლო ფიზიკური შედეგების შესახებ, მაგრამ თუ ამ გამოცდებს პოლიტიკური თვალსაზრისით მივუდგებით, ცხადია, ეს გამოცდები უგუნურია და ხელს არ უწყობენ მშვიდობას. ვნანობ, თქვა იტონმა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გადაწყვიტა მოაწყოს ეს გამოცდები.

ლაოსის ამბები

ბანგკოკი, 7 ივნისი. (საკვლეს). ორ ღღეს ამყოფებოდა ტაილანდში გენერალი ჰარკინსი — ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდალი სამხრეთ ვიეტნამსა და ტაილანდში. თავისი ყოფნის დროს გენერალმა ინსპექცია გაუწია სპეციალური დანიშნულების 116-ე გაერთიანებული რაზმის შტაბს, ეწვია ახალი ზელანდიის 41-ე ესაკადრილიასა და კორატში განლაგებულ განსაკუთრებული დანიშნულების საავიაციო რაზმს, იყო ლაოსის მოსაზღვრე ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებში. მან მიიღო მონაწილეობა თათბირში, რომელმაც განიხილა ტაილანდისა და სეატოს მონაწილე სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების მოქმედების „კოორდინაციის საკითხი. თათბირს ესწრებოდნენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სამხედრო ნაწილების მეთაურები. თათბირის შემდეგ ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა მარშალმა სარიტ ტანატარატმა განაცხადა, რომ „თათბირმა საფუძველი ჩაუყარა მოქმედების კოორდინაციას, აგრეთვე შექმნა ამ კოორდინაციის განხორციელების ცენტრი“.

გულგარეთში თოვლი მოვიდა

სოფია, 8 ივნისი. (საკვლეს). ბულგარეთში მკვეთრად შეიცვალა ამინდი. ასეთი მოვლენა აქ 130 წელზე მეტია არ უნახავთ. ტემპერატურა მკვეთრად დაეცა, ხოლო მთის მწვერვალებზე თოვლი მოვიდა.

კენედი: ოპტიმიზმი უმეცრდა

ვაშინგტონი, 8 ივნისი. (საკვლეს). გუშინ პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ პრესკონფერენციაზე გააკეთა განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური პოსპეტექტივებისა და ეკონომიკის სფეროში მთავრობის პროგრამის შესახებ. კენედის აშკარად სურდა დაემშვიდებინა ამერიკის საზოგადოებრიობა, რომელიც სერიოზულად არის შეშფოთებული ნიუიორკის ბირჟის ამასწინანდელი ბანკით.

პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ ამერიკის ეკონომიკის ა

ᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲖᲔᲑᲘ

ᲐᲗᲐᲡ ᲪᲮᲠᲐᲡ ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲠᲘ... მძიმე დრო იყო. ტყვიამ, ცრემლმა და მოლოდინმა დაბინდეს ადამიანთა უშფოთველი ცხოვრება.

მძიმე დრო იყო...

ფრონტზე შვილწასულ დედას ფოსტალიონის დაკაკუნებაც თავზარს სცემდა. იყო საბარათო სისტემა, გაჯირვება. ცხოვრება კი, მართალია, მდორედ, მაგრამ მაინც თავის გზას მიიკვლევდა.

ხალხს სწამდა ხვალინდელი ნათელი დღე და ამ რწმენით ცოცხლობდა.

იზრდებოდა თაობა...

თეატრალურ ინსტიტუტში საკურსო სპექტაკლი დამთავრდა. სოფიტებით განათებულ ერთ-ერთ ვრცელ დარბაზში შეკრებილიყვნენ ინსტიტუტის პედაგოგ-მასწავლებლები, დიპლომანტები, იმ დროს თბილისში ეკავაურებული მოსკოვის სამხატვრო და მცირე თეატრების მსახიობები, აქტიურად რომ მონაწილეობდნენ ახალგაზრდა თეატრალების აღზრდაში და შედგებისდაგვარად ამაგს სდებდნენ ქართულ სცენას.

ყველამ ერთად სურათიც გადაიღო. ამ წელს ოცდაოთხი ვაჟკაცი და ქალიშვილი გააცილეს აღმზრდელებმა.

აქ, ინსტიტუტის კართან, გაიყარა მათი მომავალი ცხოვრების გზები. გზები, მაგრამ არაერთნაირი. ქვეყანას უმჯობდა და ვინც სად საჭიროდ ჩათვალა თავი, იქით წავიდა. მხოლოდ რამდენიმე მათგანი დარჩა ქართულ სცენაზე.

ამის შემდეგ ისინი ერთად აღარ შეკრებილან.

ორმოცდაორი მიიწურა... დაიწყო გარდატეხის ორმოცდასამი... შემდეგ ნაირფრად ატყორცნილი შუშხუნები გამარჯვებული ქვეყნის კრიალა ცაზე, ხარაჩოები. იარების მოშუშება... ასე გადიოდა წლები.

სტუდენტობის მეგობრები კი კვლავ მხოლოდ ოცნებით, ფიქრით იყვნენ ერთმანეთთან, თავიანთ აღმზრდელებთან. ზოგჯერ ბარათებს თუ გაუგზავნიდნენ ერთმანეთს. განსაკუთრებით აინტერესებდათ სამშობლოს სამსახურისათვის ომში წასულების — ირაკლი ბარნაბიშვილის, ვლადიმერ კაკაბაძის, ივანე გოისაშვილის, საბჭოთა არმიის რიგებში მოხალისედ ჩარიცხულ ალიოშა ეძგვერაძის ბედი.

გაიგეს კიდეც. ყველა დაუბრუნდა თავის კუთხეს გარდა ერთისა. ოცდაოთხ მეგობარს ვლადიმერ კაკაბაძე გამოაკლდა...

და აი ოცი წლის შემდეგ, ზაფხულის პირველი თვის ბასლო კვირას კვლავ უჩვეულოდ აბმაურდა ინსტიტუტის სოფიტებით განათებული ერთ-ერთი ვრცელი დარბაზი. მეგობრებმა შეხვედრა დათქვეს. მონახეს ერთმანეთი, დაიგზავნა ბარათები, მოიწვიეს აღმზრდელი პედაგოგები. შეიკრიბნენ სტუდენტობის დროს მოსაგონრად, მეგობრების წინაშე გულის გადასაშლელად.

ნათქვამია, თვალი თვალს რომ მოშორდება, გული გადასხვაფერდებაო. მაგრამ, მართალი გითხრათ, ამას ვერ დავიჯერებ. ვერ დავიჯერებ იმიტომ, რომ ამ შეხვედრის შემთხვევითი მოწმე მეც ვიყავი და ერთმანეთისადმი სიყვარულით გამთბარი მათი გულის სითბო მეც ვიგრძენი.

დროსა და მანძილს ოდნავაც არ გაუნელებია იგი.

ვუსმენდი მათი აღმზრდელი პედაგოგების პროფესორების აკაკი ფალავას, აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძეს, რეჟისორ დოდო ალექსიძის მისალმების სიტყვებს თავიანთი ყოფილი სტუდენტებისადმი, ვუცქერდი თმადათოვლილ მასწავლებლებს მალიკო მრევლიშვილს, რუსუდან მიქელაძეს, ვალენტინა გამსახურდიას, სახეზე სიხარულის სხივი რომ უკრთოდათ და უნებლიეთ გავიფიქრე: ყველა თაობას აქვს თავისი ახალგაზრდობა, და ეს იცით რა არის? შენი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო წუთების განცდა, შეხვედრა საუთარ წარსულთან ცოცხალი ადამიანების სახით.

ახლა ამ ადამიანებს, მათ აღზრდილებს აქ თავი მოეყარათ და საუბრობდნენ, თუ ვინ ცხოვრების რა გზით მოვიდა მათთან შესახვედრად.

დღეს ქართულ სცენაზე მოღვაწეობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. თეთრაძე, ნ. ზალდასტანიშვილი, ნ. ჩხეიძე, ს. აპრესიანი (ისნელი), მსახიობები ნ. ვაშაკიძე, ი. ჯინჯიხაძე, ყოფილი მსახიობები ნ. მოქილაძე და ნ. ჭავჭანიძე ამჟამად დიასახლისები არიან. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დოცენტია ბ. ნიკოლაიშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტია საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ყოფილი მოცეკვავე, ამჟამად პენსიონერი ლ. ბალასეგინიქორიძე, რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკია ი. გედეკანიშვილი, ბოლნისის კულტურის სახლის ბიბლიოთეკის გამგეა ნ. როველიაშვილი და ა. შ.

ზოგიერთი მაშინდელი კურსდამთავრებული ფიზიკურად ჩამოშორდა სცენას, სხვადასხვა ადმინისტრაციულ და სამეურნეო სამუშაოს ასრულებს, მაგრამ ხელოვნება მაინც გულით უყვართ და ცდილობენ არ ჩამოშორდნენ მას. მაგალითად, ვ. მშვენიერაძე თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კინოსტუდიის საობერო სტუდიის დირექტორის მოადგილედ მუშაობს, მ. ურუშაძე რკინიგზელთა კულტურის სახლის სტუდიის სასწავლო ნაწილის გაძღეა, ალ. ეძგვერაძე რესტორან „ყაზბეგის“ დირექტორია, მაგრამ ეს როდი უშლის ხელს ქართული კინოფილმების გადაღებაში.

ერთი სტუყვით ყველა მათგანი, მიუხედავად იმისა, თუ სად მუშაობს იგი, თეატრით სუნთქავს, — თქვა თავის მოხსენებაში ინსტიტუტის დოცენტმა ნ. შალუტაშვილმა.

ამ დღეს აღმზრდელებმა და აღზრდილებმა სურათი გადაიღეს.

ეს შეხვედრა პირველი იყო თეატრალური ინსტიტუტის ცხოვრებაში, როგორც აღნიშნა ინსტიტუტის დირექტორმა ი. თავაძემ, და იგი, ალბათ, კარგ ტრადიციად დამკვიდრდება. მათ სხვა თაობებიც მიბაძავენ.

შეიძლება ეს მართლაც ასე მოხდეს. და ვინ იცის, გაიღლის კიდევ ათი, ოცი წელი და ასეთი თავისებური „იუბილეს“ შემთხვევითი მოწმე კვლავ შეიძლება გახდეს ვინმე უურნალისტი, რომელიც გაიზიარებს მათს სიხარულს, განცდილს საგაზეთო წერილად აქცევს, მოძეგნის ახლანდელ გადადებულ სურათს, რათა ამ სურათით ისინი კვლავ შეახვედროს თავის ახალგაზრდობას, ხოლო მომავალ თაობას კიდევ ერთხელ უთხრას — მეგობრობამ დრო და მანძილი არ იცისო.

გ. სამსონაძე.

15 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ მიიღო შარშან გაგრის ტურისტულმა ბაზამ. წელს ტურისტთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. აქ უკვე ჩამოვიდნენ პირველი ტურისტები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: გაგრის ტურბაზაში.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა მოაწყო ჟურნალისტ ფელეტონისტთა რესპუბლიკური სემინარი.

სემინარზე მოისმინეს და განიხილეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებლის ნ. ჩხეიძის, გაზეთ „კომუნისტის“ საბჭოთა მშენებლობის განყოფილების გამგის რ. დვალიშვილის, გაზეთ „თბილისის“ კულტურისა და მეცნიერების განყოფილების გამგის დ. მელუხასა და ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორის ნ. შველიძის მოხსენებები.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ საარაინთაშორისო გაზეთების მუშაკები. (საქდესი).

ᲗᲕᲠᲐᲛᲔᲢᲘ ᲪᲮᲠᲘᲡ ᲨᲠᲘᲛᲜᲘᲨᲕᲜᲘᲗ ᲒᲘᲒᲝᲛᲘᲗᲘᲡᲛᲝᲛᲪᲐ

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

კიურასაო, 7 ივნისი. (საკდესი). პრეტენდენტთა საჭადრაკო ტურნირზე მეთვრამეტე ტურის შემდეგ ლიდერობენ კერესი და ბეკერი, რომელთაგან თითოეულმა 12 ქულა მოაგროვა. პეტროსიანს აქვს 11,5 ქულა. შემდეგი ადგილები უკავიათ: ფიშერს — 9,5 ქულა, კორჩნოისა და ბენკოს — 8,5 ქულა თვითეულს, ტალს — 6 ქულა და ფილიპს — 4 ქულა.

საკდესის მიმომხილველი საერთაშორისო არბიტრი იაკობ როხლინი წერს: კიდევ თექვსმეტი დღე და მილიონობით ჭადრაკის მოყვარული შეიტყობს იმ ბედნიერის სახელს, რომელსაც წილად ხვდება მომავალი წლის გაზაფხულზე ეთამაშოს მსოფლიო ჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკს. ჯერჯერობით კი შორეულ კუნძულ კიურასაოზე გრძელდება დაძაბული ბრძოლა.

ესტონელმა დიდოსტატმა კერესმა ჯერ კიდევ ომამდე, ჰოლანდიაში 1938 წლის საერთაშორისო ტურნირში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, პირველი განაცხადი შეიტანა მსოფლიო საჭადრაკო გვირგვინზე.

კერესი სამჯერ ახლოს იყო სანუკვარ მიზანთან პრეტენდენტთა ტურნირებში, მაგრამ ფინიშის წინ მას სხვები უსწრებდნენ.

და აი ახლა 46 წლის ესტონელი დიდოსტატი, შესაძლებელია, უკანასკნელად ცდილობს ავიდეს საჭადრაკო ოლიმპზე. შეჯიბრების მესამე წრის ოთხ ტურში კერესმა მოაგროვა 3,5 ქულა, რაც დიდებული შედეგია. მისი ოსტატობა, რომელიც ფილიპთან გათამამებულ პარტიაში გამოიჩინა, მოგვაგონებს კაცაალანკას დახვეწილი ტექნიკის საუკეთესო ნიმუშებს. დიდოსტატ ბრონშტეინის ინაზია, რომ კერესს ტურნირში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვს.

კერესს არ ჩამოუვარდება აგრეთვე 37 წლის ბეკერი. დღემდე ოდესელი დიდოსტატის ყველაზე დიდი წარმატება იყო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება სსრ კავშირის 22-ე პირველობაზე. სტოკჰოლმის საზონათშორისო ტურნირმა კვლავ დაუსახა მას ფართო პერსპექტივები.

კიურასაოს ტურნირში ბეკერი არაჩვეულებრივი შემოქმედებითი აღმავლობით თამამობს და გამოცდილებლობას იჩენს. მას არ წაუგია არც ერთი პარტია და გამარჯვების რკინისებურ ნებისყოფას ამჟღავნებს.

ასევე კარგ ფორმაშია მოსკოველი დიდოსტატი პეტროსიანი. ისე როგორც ბეკერს, მას არც ერთხელ არ დაუკარგავს გეზი. პეტროსიანი აღწევს ყაიმს, როცა ამას სატურნირო ტაქტიკა მოითხოვს, იცის გამარჯვების მოპოვებაც ყველაზე საშიშ მეტოქეებთან ბრძოლაში. იმვიათი სიმტკიცე და მაღალი ტექნიკა, რასაც პეტროსიანი ამჟღავნებს უძნელეს მდგომარეობაშიც კი, მისი შემოქმედებითი ხასიათის განმასხვავებელი ნიშნებია.

რამდენადმე გაუჭირდესა შედეგი 19 წლის დიდოსტატმა ფიშერმა. ოთხ უკანასკნელ ტურში მოაგროვა 2,5 ქულა. ალბათ მან ზოგი რამ ისწავლა მკაცრი გაკვეთილების შედეგად, რომლებიც დასაწყისში მიიღო საბჭოთა დიდოსტატებისაგან. ფიშერს აქვს 6 გამარჯვება და 5 დამარცხება. დიახ, კიურასაო სტოკჰოლმი როდია!

შეუძლია თუ არა ფიშერს იქონიოს პირველი ადგილის იმედი ტურნირში? შეეძინოდ ვითარებაში ეს ნაკლებად მოსალოდნელია. მას მოუხდება ორ-ორი პარტიის თამაში კერესთან და პეტროსიანთან და ერთი პარტიისა — ბეკერთან. სწორედ მათთან შეხვედრებში ამერიკელ დიდოსტატს ყველაზე ცუდი შედეგი აქვს. ასეთი „დაბრკოლებების“ გადალახვა უდანაკლისოდ არა გვგონია ფიშერმა მოახერხოს.

ტალის მარცხს მისი თაყვანისმცემლები ალბათ შეურიგდნენ. მაგრამ კორჩნოის სამწუხარო შედეგებმა, რომელიც შეჯიბრების პირველ ნახევარში ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა, ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სპეციალისტებში. არავის არ ახსოვს შემთხვევა, რომ ნიჰიერ ლენინგრადელს ზედიზედ წაეგოს ოთხი პარტია. ზოგიერთ შეხვედრაში მას ვეღარ იცნობდით, ისევე როგორც ტალს.

შეჯიბრების ბოლომდე 10 ტური დარჩა. ვიქონიოთ მოთმინება: მართალია, უკვე ახლა საბჭოთა მოჭადრაკეებს იმედი აქვთ, რომ მათი საუკეთესო ოსტატები გაიმარჯვებენ.

ᲩᲘᲚᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ

ᲫᲕᲘᲠᲐᲓᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲡᲐᲜᲢᲐ-ᲘᲐᲒᲝᲕᲘ პირველ რვა თამაშს მხოლოდ 160 ათასი კაცი დაესწრო. ეს ძალიან მცირეა, თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ჩემპიონატისადმი ინტერესს და იმას, რომ პირველობა ჩილიში მიმდინარეობს, სადაც ფეხბურთის მილიონობით ფანატიკოსია. ყოველ მატჩზე საშუალოდ 20 ათასი კაცი მოდის. ეს გააკვირვებე არის. პირველ ყოვლისა გაზრდილია ბილეთის ფასი. ცალკეულ მატჩზე ბილეთი საგრთოდ არ იყიდება, გთავაზობენ მხოლოდ ამონიმენტს რამდენიმე მატჩზე დასასწრებად. ასეთი ამონიმენტი სანტე-იაგოში 106 დოლარი ღირს. თანხა მეტად დიდია საშუალო ჩილიელისათვის. მეორე, რასაც უცხოელთის მთელი პრესა აღნიშნავს, ის არის, რომ ძალიან ძვირია ტურისტთა მომსახურება. საქმე იქამდე მივიდა, რომ გულმემატკივართა ნაწილი უკან ბრუნდება და გადაწყვეტ თამაშებს ვერ ნახავს. ჩემპიონატის ორგანიზატორებმა მსოფლიო პირველობა ფეხბურთში ძვირადღირებულ სიამოვნებად გადააქცეს.

ᲓᲐᲣᲓᲔᲒᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲢᲘᲝᲠᲘ

ᲔᲡ წოდება მსოფლიო ჩემპიონატზე მიიღო ბრაზილიის რადიოს კორესპონდენტმა ედგარ პინტომ და, უხდა აღნიშნოს, რომ ეს ტიტული პინტომ მოიპოვა გაცილებით ადრე, ვიდრე შედგა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი მატჩი. საქმე ის არის, რომ პინტო ჩილიში ჩავიდა უჩვეულო ხერხით. მან გადაწყვიტა არ გადაეტვირთა რკინიგზის, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი. მან მოძრაობის საშუალებად გამოიყენა ველოსიპედი. მთელი მანძილი ბრაზილიიდან სანტ-იაგომდე 52 დღეში გაიარა. ეს არცოუ ცუდი მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ „სპორტსმენს“ ზოგჯერ ჯუნგლების გავლა უხდებოდა, ერთხელ ქარიშხალშიც მოხვდა, ასეთი „გასეირნებისათვის“ სპორტული ინტერესის გარდა პინტოს სხვა მიზეზიც ჰქონდა. მოგზაურობის დროს პინტო დარწმუნდა, რომ ბრაზილიის ყველაზე შორეულ და მივიწყებულ რაიონებში მცხოვრებლების უმეტესობა ფეხბურთის დიდი მოყვარულია და იცის ფეხბურთის კორიფეების სახელები.

მართალია სანტ-იაგოს ზმაურიან ქუჩებში მოგზაურობა უფრო ძნელია, ვიდრე ჯუნგლებში, მაგრამ პინტო თავის „მეგობარს“ არ იშორებს. ეს მას როდი უშლის ხელს — ბრაზილიის რადიო ჩემპიონატის ყველა ცნობას ოპერატიულად იღებს.

ᲩᲘᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ მოყვარულნი არიან არა მარტო მძლეოსნობაში, არამედ ფეხბურთშიც. მათ უმალვე აღნიშნეს, რომ ფეხბურთელთა შორის ყველაზე „ბებერი“ 37 წლის ნილტონ სანტოსია, ყველაზე ახალგაზრდა კი იტალიელი ნახევარმცველი 19 წლის დ. რივერა. 33 წლის მექსიკელი მეკარე ანტონიო კარბახალი რეკორდსმენთა რეკორდსმენია. იგი მეოთხეჯერ მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონატში. თავისი ქვეყნის ნაკრების კარს იცავდა 1950 წელს — ბრაზილიაში, 1954 წელს — შვეიცარიაში, 1958 წელს — შვეციაში.

ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ“.

ᲓᲐᲔ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲧᲝᲡ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა სტენლი როუზმა მიმართა ყველა სპორტსმენს, მწვრთნელს. მსაჯს თხოვნით: „იხსნან ჩემპიონატის რეპუტაცია“.

ეს გააკეთა მან სპეციალურ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა სანტ-იაგოს ერთ-ერთ სასტუმროში ჩილის, ინგლისის, მექსიკის, არგენტინის, იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და უნგრეთის დელეგატებთან. დანარჩენებს, სხვა ქალაქებში, როუზის სიტყვები ტელეფონით შეატყობინეს.

როუზმა მოუწოდა გუნდებს ბოლო მოუღონ უხეშობას ფეხბურთის მოედნებზე. „დაე ჩემპიონატის ფინიში გაცილებით უკეთესი იყოს, ვიდრე სტარტი“, თქვა მან.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘᲗᲘ გრძელდება წყალბურთელთა საერთაშორისო ასპარეზობა. დიდი ინტერესი გამოიწვია რომის ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონის იტალიის გუნდისა და ოლიმპიური ასპარეზობის მეორე პრიზიორის სსრ კავშირის ნაკრების ორთაბრძოლამ. საბჭოთა ნაკრებმა ძლიერად ჩაატარა შეხვედრა და მოიგო ანგარიშით 3 : 2. დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — რუმინეთი 4 : 3; იუგოსლავიის პირველმა ნაკრებმა ანგარიშით 6 : 0 დაამარცხა იუგოსლავიის მეორე ნაკრები.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲖᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

9 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — დემონი (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით), **რუსთაველის სახელობის** — ქუთათურები, **მარჯანიშვილის სახელობის** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი, **სანკულტურის** — გმირი ერთი დღით (პრემიერა), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჩიკორი (აბონ. № 54, 4 ს., აბონ. № 51 7 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — მოსკოვის ესტრადის მსახიობთა კონცერტი, **სპორტის სასახლე** — ბენი გუდმანი და ჯაზ-ორკესტრი (აშშ).

ᲤᲬᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

18.00 — ოქტომბრელთათვის — სატელევიზიო ჟურნალი „ჯეჯილი“, 18.40 — გადაცემა ციკლიდან — „მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ“ „სოფლის მეურნეობის მომავალ სპეციალისტებთან“, 18.55 — კინონარკვევი, 19.15 — ხალხის საუნჯე, 19.45 — კინოჟურნალი, 19.55 — საესტრადო კონცერტი, 20.25 — ახალი ამბები, 20.40 — მხატვრული ფილმი „როცა ხეები დიდი იყო“.

რუსთაველის სახელობის, ამირანი, (საზამთრო), **ოქტომბერი, ისანი** (საზამთრო და საზაფხულო), **სპარტაკი, საქართველო** (წითელი და მწვანე დარბაზი), **საქართველო** (საზაფხულო) — როკო და მისი ძმები (I-II სერია), **ამირანი** (საზაფხულო), **თბილისი, კოლხიდა** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — მდუმარე კვალი, **კომკავშირელი** — სიგნალები ქალაქის თავზე, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — ფატალი-ხანი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — გზა, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), — ლელა და მეჯნუნი, **კოლხიდა** (საზაფხულო) — 12 ქალაშვილი და ერთი მამაკაცი, **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — მანანა, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო) — ჰორიზონტს იქით, **გაზაფხული, კოლმეურნე** — ქონებას ცოდნა სჯობს, **ოფიცერთა სახლი** — ადგილი მიწაზე.

10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

06.45 — ქართული საცეკვაო სიმღერები, 08.30 — საკონცერტო მარშები, ვალსები და სიმღერები, 09.15 — „ნაცნობი მელოდიები“, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.45 — ვუმღერთ სამშობლოს, 11.00 — ტრახსლაცია მოსკოვიდან, 11.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 12.15 — ტ. მახარაძის კონცერტი, 12.45 — ბერლიოზი. უვერტიურა „ბენვენუტო ჩელინი“, 13.20 — საკვირაო გადაცემათა პროგრამა, 13.30 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 14.00 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 14.45 — ნარკვევი — „მთავარი ექიმი“, 15.00 — კონცერტის ტრანსლაცია ეროვნიდან, 15.40 — ლიტერატურული გადაცემა — „დიადი თანამგზობობა“, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — რადიოჟურნალი „ჩვენი სოფელი“, 17.40 — ლიტერატურული გადაცემა მოსწავლეთათვის. ლ. ფრუიძის მოთხრობა „შოშიტა“, 18.10 — კონცერტი რადიომომეხელთა დაკვეთით, 19.00 — რადიოჟურნალი „კულტურა და ყოფაცხოვრება“, 19.30 — ქართული პოპულარული სიმღერები და მელოდიები, 20.20 — რადიოჟურნალი „შოლტი“, 21.00 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 21.40 — ლიტერატურული გადაცემა ორი ლიეგესის რადიოპიესა „ნაბიჯები“.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

21.00 — ლიტერატურული გადაცემა. გ. რასელის მოთხრობა „პარნასის დარაჯნი“, 21.25 — პლანკეტის ოპერეტა „რიბ-რიბი“.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲬᲐᲠᲔ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲗᲘᲗᲘᲗᲛᲘᲗ. (საკ.-კორ.). ორი დღის განმავლობაში ეცნობოდა ბათუმის ისტორიულ ადგილებს ტურისტების დიდი ჯგუფი, რომელიც აქ თბილავალ „ლატვიით“ ჩამოვიდა. გარდა ქალაქ ბათუმისა, ტურისტებმა დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი, გისიკირნეს ზღვისპირა პარკში. შაბათს საღამოს თბილავალი „ლატვია“, რომელზეც იმყოფებოდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული ტურისტები, სოხუმის მიმართულებით წავიდა.

□ **ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘ.** (საკ. კორ.). სოფელ ყაჩაგანში შენდება კულტურის სახლი, რომელიც 500 მაყურებელს დაიტევს. საგულისხმოა, რომ კულტურის სახლის შენობა, რომელიც 150.000 მანეთი ჯდება, აშენდა ყაჩაგანის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ზეგეგმითი მოგების ხარჯზე.

□ **ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ** პარტრაიკომისა და თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ინიციატივით ამ დღეებში კუმისის სასოფლო კლუბში თელეთის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისათვის მოეწყო კონსერვატორიის პედაგოგთა საანგარიშო კონცერტი.

კონცერტში მონაწილეობდნენ სასულე ინსტრუმენტების კათედრის პედაგოგები დოცენტები გ. მენაღარიშვილი, გ. მოცაკიანი, უფროსი მასწავლებელი ო. ინასარიძე და სხვ.

ᲔᲝᲙᲚᲔᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ.-კორ.). ორი დღის განმავლობაში ეცნობოდა ბათუმის ისტორიულ ადგილებს ტურისტების დიდი ჯგუფი, რომელიც აქ თბილავალ „ლატვიით“ ჩამოვიდა. გარდა ქალაქ ბათუმისა, ტურისტებმა დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი, გისიკირნეს ზღვისპირა პარკში. შაბათს საღამოს თბილავალი „ლატვია“, რომელზეც იმყოფებოდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული ტურისტები, სოხუმის მიმართულებით წავიდა.

□ **ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘ.** (საკ. კორ.). სოფელ ყაჩაგანში შენდება კულტურის სახლი, რომელიც 500 მაყურებელს დაიტევს. საგულისხმოა, რომ კულტურის სახლის შენობა, რომელიც 150.000 მანეთი ჯდება, აშენდა ყაჩაგანის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ზეგეგმითი მოგების ხარჯზე.

□ **ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ** პარტრაიკომისა და თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ინიციატივით ამ დღეებში კუმისის სასოფლო კლუბში თელეთის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისათვის მოეწყო კონსერვატორიის პედაგოგთა საანგარიშო კონცერტი.

კონცერტში მონაწილეობდნენ სასულე ინსტრუმენტების კათედრის პედაგოგები დოცენტები გ. მენაღარიშვილი, გ. მოცაკიანი, უფროსი მასწავლებელი ო. ინასარიძე და სხვ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲚᲐᲞᲠᲔᲒᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

1670-79 წლებში საქართველოში ცხოვრობდა იტალიელი მოღვაწე ბერნარდე ნეაპოლელი. იგი ცნობილია როგორც მრავალ თარგმანთა ავტორი. 1681 წელს მან რომში გამოსცა ქართული ენაზე გადმოთარგმნილი კატეხიზმო. ბერნარდეს არქივში აღმოჩნდა ქართულ ენაზე ჩაწერილი ქართული ხალხური ზღაპრების კრებული, რომლის ფოტოპირი ამასწინათ მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ და გამოსაცემად მოამზადა პროფ. მ. ჩიქოვანმა.

მკითხველთა კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, პროფესორმა მ. ჩიქოვანმა დამსწრეთ გააცნო იტალიაში აღმოჩენილი ქართული ზღაპრების კრებულის ფართო მნიშვნელობა.

ნ. ᲑᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲘᲗᲠᲝᲒᲡ

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜ, რომელიც გადაღებულია 20 წლის წინათ, თეატრალური ინსტიტუტის 1942 წლის კურსდამთავრებელთა და III კურსის სტუდენტთა შორის არიან აკაკი ხორავა (პირველ რიგში მარცხნიდან მეოთხე), მეორე რიგში მარცხნიდან — ნატო ვაჩნაძე, იოსებ გრიმაშვილი, ნატალია ჯავახიშვილი, ვარვარა მასალიტინოვა (მოსკოვის მცირე თეატრი), ბენო გოგუა, მიხეილ თარხანოვი (მოსკოვის სამხატვრო თეატრი), ნინა ლიტოვცევა (მოსკოვის სამხატვრო თეატრი), ვასილ კაჩალოვი (მოსკოვის სამხატვრო თეატრი), მიხეილ კლიმოვი (მოსკოვის მცირე თეატრი), სოფიო ხალიუტინა (მოსკოვის სამხატვრო თეატრი), ვალენტინა ელენტი, გიორგი სარჩიმელიძე, ზალეა ღამბაშიძე, მესამე რიგში — ალექსანდრე წუწუნავა (მარცხნიდან მესამე), ვერიკო ანჯაფარიძე, დეკლამატორი სურენ კოჩარიანი, ბალერინა მარინა სემიონოვა, ნიკოლოზ შენგელაია, მიხეილ გიკიმურელი, გიორგი ტოვსტონოგოვი, ვახტანგ ბერიძე, ეკატერინე კედია, რუსუდან მიქელაძე, მალიკო მრევლიშვილი, აკაკი ფალავა, ვალენტინა გამსახურდია, ალექსანდრე კიკნაძე.

ᲛᲔᲦᲝᲚᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ტაქსომოტორების კანტორის მძღოლმა გრიგოლ ხარაბაძემ, რომელსაც ტაიბულისაკენ საბარგო ტაქსით ტვირთი გადაჰქონდა, გზაზე სოფელ ოჯოლასთან შეამჩნია, რომ პატარა ბიჭი ელექტროდენის მავთულს შეხებოდა და უმწეოდ გაჰკიოდა. ცოტაც, და ბავშვი დაიღუპებოდა.

მძღოლმა მყისვე მანქანა გაიჩერა, დაბამბული ქუთუტკი გადმოიღო და ბავშვისაკენ გაექანა. ქუთუტკი ელექტრონის მავთულს შემოახვია და ბავშვს მოაცილა

პირველი დახმარების გაწევის შემდეგ ბავშვი მოსულიერდა.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘ